საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

აბაზ ბაკურიანის ძე

აბაზ ბაკურიანის ძე, XI ს. ქართველი მოღვაწე, ბიზანტიის იმპერიის მაგისტროსი, ძმა გრიგოლ ბაკურიანის ძისა. მსახურობდა ბიზანტიის სხვადასხვა პროვინციაში. თავდაპირველად ანტიოქიაში ჰქონდა მამულები, შემდეგ მათ სანაცვლოდ თესალონიკესა და სერის თემებში მიიღო სოფლები, რ-ებიც მისი ანდერძის თანახმად, გრიგოლმა პეტრიწონის ქართველთა მონასტერს გადასცა. ამის გამო ა. ბ. სიკვდილის შემდეგ ამ მონასტრის ქტიტორად ითვლებოდა. დიდ მზრუნველობას იჩენდა იგი ათონის ივერთა მონასტერი|ათონის ივერთა მონასტრის ქონებრივ კეთილდღეობაზეც.

ლიტ.: შ ა ნ ი ძ ე ა., ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი, თბ., 1971.

ა. ბოგვერაძე